საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სალომე გველესიანის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**23**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**20**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**20**	**20**
პროფესიული თვისებები	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**9**	**10**
პროფესიული აქტივობა	**0**	**5**
ქულათა ჯამი	**86**	**100**

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - სალომე გველესიანის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - სალომე გველესიანი.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით;

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.6. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 6 (ექვსი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით.

I. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

სახელი, გვარი: **სალომე გველესიანი**

ასაკი: **30 წლის**

დაბადების თარიღი: **11 აგვისტო, 1990 წ.**

განათლება: **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - უმაღლესი იურიდიული, მაგისტრი**

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **6 წელი**

სამუშაო ადგილი: **რუსთავის საქალაქო სასამართლოს დამხმარე მოსამსახურე (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი), რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დაკისრებული აქვს რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მთავარი კონსულტანტის - მოსამართლის მწერალი თანაშემწის მოვალეობა.**

II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით მოსამართლეობის კანდიდატის, სალომე გველესიანის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
2. *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
3. *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
4. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
5. *ფინანსური ვალდებულება.*

1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელით - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე

სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.;

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის მიუკერძოებლობას, კეთილსინდისიერებას, პრინციპულობას, გუნდურობას, კორექტულობას, გაწონასწორებულობას, კომუნიკაბელურობას და ა.შ. რეკომენდატორებიდან ერთი, კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებში უთითებს, რომ იგი ნაკლებად არის დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში.

- გამოკითხული რესპოდენტებიდან: ერთი კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობს კარგად, ხოლო ერთი - საშუალოდ; ერთი რესპოდენტის აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს, ერთი რესპოდენტი კი აღნიშნავს, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით ერთი რესპოდენტი კანდიდატს აფასებს ძალიან კარგად, ერთი რესპოდენტი კი - კარგად, ამასთან, იგი ერთ ველში უთითებს, რომ უჭირს მისი შეფასება.

- სალომე გველესიანს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის მიერ სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით, ფიქსირდება შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები: ასკ-ის 119-ე მუხლის მეორე ნაწილი („გაუმართავი სატრანსპორტო საშუალების მართვა"; ჯარიმა - 15 ლარი; 1 შემთხვევა; ჯარიმა გადახდილია დროულად; შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი).

რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

<u>2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ან/და მხარდამჭერი. ამასთან, გასაუბრების შედეგად, კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

გასაუბრების დროს კანდიდატის მიერ გაცემული პასუხებიდან გამომდინარე ვთვლი, რომ კანდიდატი აზრის გამოხატვის პროცესში არის ღია და გახსნილი, გააჩნია პიროვნული სიმყარე და შეუვალობა. ამასთან, გასაუბრების პროცესში თავდაჯერებულობის ნაკლებობა კანდიდატს არ გამოუვლენია, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>3. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

- რუსთავის საქალაქო სასამართლოს მენეჯერის, საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა ან/და ადმინისტრაციული წარმოება არ დაწყებულა.

სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების თანახმად, კანდიდატის მიმართ გამოყენებული არ ყოფილა დისციპლინური ღონისძიებები.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით:
სალომე გველესიანის მიმართ, დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, ინფორმაცია არ მოიპოვება.

გასაუბრების ეტაპზე კანდიდატი იყო ძალიან კორექტული, თავდაჭერილი, მშვიდი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კანდიდატს აქვს საკუთარი ქცევის მართვის კარგი უნარი. **აღნიშნული მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>4</u>. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას - მხედველობაში მიიღება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად, ისინი ყურადღებას ამახვილებენ კანდიდატის სამართლიანობაზე, კეთილსინდისიერებაზე, კომპეტენტურობაზე, კოლეგიალურობაზე, პრინციპულობაზე და ა.შ., **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმებისას არ გამოვლინდა ის შესაძლო საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის პატიოსნება და მიუკერძოებლობა, ამდენად ამავე მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის, სალომე გველესიანი, შეფასებისას გავითვალისწინე საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

1. *სამართლის ნორმების ცოდნა;*
2. *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
3. *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
4. *პროფესიული თვისებები;*
5. *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
6. *პროფესიული აქტივობა*

1. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი

გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების გაანალიზების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატს აქვს სამართლის თეორიული საფუძვლების საკმაოდ კარგი ცოდნა, იგი ასევე საკმაოდ კარგად და საფუძვლიანად იცნობს სასამართლო პრაქტიკას

და ასეთივე წარმატებულობით - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს.

გასაუბრების ეტაპზე, კანდიდატმა ამომწურავად ისაუბრა ბუნებითი და პოზიტიური სამართლის პრინციპულ განსხვავებულობაზე, პოზიტიური სამართლისა და მორალის ურთიერთმიმართებაზე, საინტერესოდ ჩამოაყალიბა საკუთარი ხედვა სამართლიანობაზე, სრულყოფილად ახსნა უზენაესი სასამართლოს სტრუქტურა, ისაუბრა საქართველოს პრეზიდენტის უფლებებზე კონსტიტუციის ჭრილში, მათ შორის, თანახელმოწერის არსზე. გამოხატვის თავისუფლებაზე დასმული შეკითხვის ნაწილში კანდიდატმა იმსჯელა აშშ-ის, ევროპულ კანონმდებლობასა და ქართულ კანონმდებლობას შორის არსებულ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე, იმსჯელა სიძულვილის ენის თაობაზე, ასევე იმ ზღვარზე, რომელიც გადის მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებასა და მოსამართლის ქცევის ეთიკურობას შორის.

კანდიდატმა კვალიფიციური პასუხი გასცა მოსამართლეთა ეთიკის წესების თაობაზე დასმულ შეკითხვას.

საერთაშორისო დაცვის (თავშესაფრის მაძიებლების) თაობაზე დასმულ შეკითხვაზე, მართალია, კანდიდატმა მსჯელობა არ განავითარა, მაგრამ მის მიერ გაცემული პასუხი იყო სწორი.

კონსტიტუციის პრეამბულის არსის თაობაზე დასმულ შეკითხვაზე კანდიდატი შემოიფარგლა ზოგადი პასუხით, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საკითხი არის საკამათო, მისი პასუხი უარყოფითად ვერ შეფასდება.

კანდიდატის მხრიდან კითხვებზე გაცემული პასუხები ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ კანდიდატის ცოდნის ხარისხი სამართლებრივ საკითხებთან მიმართებით არის მაღალი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **23 ქულით.**

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

კანდიდატს იურიდიულ სფეროში მუშაობის 6 წლიანი გამოცდილება გააჩნია.

- შევისწავლე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი თემაზე - „სასამართლო გადაწყვეტილებების კლასიფიკაცია და მათი მიღების წანამძღვრების ურთიერთმიმართება". აღნიშნული სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებული და დასაბუთებულია.

სალომე გველესიანს გააჩნია აზრის თანმიმდევრულად და ლოგიკურად გადმოცემის უნარი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **20 ქულით.**

3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

როგორც უკვე აღინიშნა, კანდიდატს სამაგისტრო ნაშრომი შესრულებული აქვს კვალიფიციურად, იგი საუბრობს მშვიდად და გაწონასწორებულად. აქვს მეტყველების კარგი კულტურა.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **20 ქულით.**

4. პროფესიული თვისებების მახასიათებელი

შემოწმებული მასალების საფუძველზე მიმაჩნია, რომ სალომე გველესიანი არის პუნქტუალური, აქვს გუნდური მუშაობის უნარი, არის ორგანიზებული და შრომისმოყვარე.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **14 ქულით.**

5. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

კანდიდატს წარმატებით აქვს დასრულებული იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული პროგრამა (2019წ.) მას იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში უჭირავს მე-6 ადგილი.

იგი ასევე აქტიურად ესწრება სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებულ ლექცია/სემინარებს.

სალომე გველესიანს ჩაბარებული აქვს შემდეგი საკვალიფიკაციო გამოცდები.

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია; 28.07.2018).

ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირება საერთო სპეციალიზაციით (22.06.2012).

მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი 2013 წ.

გავლილი აქვს სტაჟირება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **9 ქულით.**

6. პროფესიული აქტივობა

კანდიდატს სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები გამოქვეყნებული არ აქვს. .

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **0 ქულით.**

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 86 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 28.05.2021 წ.